

*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და
საშუალო საწარმოებისათვის*

შპს ალტურას

2022 წ 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3 გვ.
2. სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 4 გვ
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5-9 გვ.

შპს ალტურას
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენიშ- ვნები	31/12/2020 ლარში	31/12/2021 ლარში	31/12/2022 ლარში
ფულადი სახსრები	3	443 871	12 416	18 375
სავაჭრო მოთხოვნები	4	1 062 059	986 967	688 127
გადახდილი ავანსები	5	377 841	357 205	12 070
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები)	6	98 502	0	356 385
სხვა მიმდინარე აქტივები	7	<u>14 202</u>	<u>657</u>	<u>11 196</u>
სულ მიმდინარე აქტივები:		1 996 475	1 357 245	1 086 153
გრძელვადიანი აქტივები ძირითადი საშუალებები	8	52 868	284 244	267 937
		<u>52 868</u>	<u>284 244</u>	<u>267 937</u>
სულ აქტივები		<u>2 049 343</u>	<u>1 641 489</u>	<u>1 354 090</u>
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
სავაჭრო ვალდებულებები	9	1 003 450	455 261	58 870
საგადასახადო ვალდებულებები		0	2 392	2 787
საიჯარო ვალდებულება		0	0	48 000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	209 519	169 602
სულ ვალდებულებები		<u>1 003 450</u>	<u>667 172</u>	<u>279 259</u>
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	10	1 100	1 100	1 100
გაუნაწილებელი მოგება	11	<u>1 044 793</u>	<u>973 217</u>	<u>1 073 731</u>
		<u>1 045 893</u>	<u>974 317</u>	<u>1 074 831</u>
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>2 049 343</u>	<u>1 641 489</u>	<u>1 354 090</u>

შპს "ალტურას"-ის დირექტორი:
კახაბერ ივანიძე



შპს ალტურას

2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნები	2022 ლარში	2021 ლარში
ამონაგები	12	39 208 910	15 770 867
სხვა		71 660	49 493
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(38 577 843)	(15 463 143)
საერთო მოგება		702 727	357 217
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	(54 827)	(82 801)
ცვეთა და ამორტიზაცია		(16 307)	(22 023)
საპროცენტო ხარჯი		(17 363)	(16 090)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(513 716)	(174 728)
საოპერაციო მოგება		100 514	61 575
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		0	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		0	(38 265)
მოგების გადასახადის ხარჯი		0	(13 932)
მიმდინარე წლის მოგება		100 514	9 378
საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში		974 317	1 045 893
ანაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)		0	(78 947)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში (წლის მოგება)		0	(2 007)
საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს		1 074 831	974 317

შპს “ალტურას”-ის დირექტორი:

კახაბერ ივანიძე



შპს ალტურას

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

“ალტურას” შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, ქ. თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №141, ბ. №47.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400144982.

რეგისტრაციის თარიღი: 18/05/2015

ძირითადი საქმიანობა: მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტ-იმპორტი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ქართულ ლარში).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების

განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 %
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	20 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრობდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება ზარალში, როგორც იჯარის ხარჯი, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება ინდივიდუალური თვითღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია (ექსპორტი) ხორციელდება როგორც ჩვეულებრივი საკრედიტო, ასევე წინასწარი გადახდის (საავანსო) პირობებით. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგეო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო

შპს ალტურას

ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფულადი სახსრები

	31/12/2020	31/12/2021	31/12/2022
	ლარში	ლარში	ლარში
ფულადი სახსრები სალაროში	443 728	12 039	17 614
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	143	377	761
	<u>443 871</u>	<u>12 416</u>	<u>18 375</u>

4. სავაჭრო მოთხოვნები

	31/12/2020	31/12/2021	31/12/2022
	ლარში	ლარში	ლარში
სავაჭრო დებიტორები	1 062 059	986 967	688 127
	<u>1 062 059</u>	<u>986 967</u>	<u>688 127</u>

5. გადახდილი აგანსები

	31/12/2020	31/12/2021	31/12/2022
	ლარში	ლარში	ლარში
წინასწარი გადახდები მომწოდებლებზე	377 841	357 205	12 070
	<u>377 841</u>	<u>357 205</u>	<u>12 070</u>

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31/12/2020	31/12/2021	31/12/2022
	ლარში	ლარში	ლარში
მზა პროდუქცია (ცოცხალი პირუტყვი)	98 502	0	356 385
	<u>98 502</u>	<u>0</u>	<u>356 385</u>

7. სხვა მიმდინარე აქტივები

	31/12/2020 ლარში	31/12/2021 ლარში	31/12/2022 ლარში
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	2 397	642	2 278
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	-	15	8 918
წინასწარ გადახდილი დღგ	11 805	-	-
	14 202	657	11 196

8. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობა	სულ
	ლარში	ლარში	ლარში
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2022წ.	270 280	13 964	284 244
შემოსვლა	0	0	0
გასვლა	0	0	0
31 დეკემბერი, 2022წ.	270 280	13 964	284 244

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი, 2022 წ.	14 225	32 913	47 138
წლიური ცვეთა	13 514	2 793	16 307
31 დეკემბერი, 2022 წ.	27 739	35 706	63 445

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი, 2022 წ.	256 766	11 171	267 937
-----------------------	---------	--------	---------

9. სავაჭრო ვალდებულებები

	31/12/2020 ლარში	31/12/2021 ლარში	31/12/2022 ლარში
სავაჭრო ვალდებულებები	39 787	39 341	665
მიღებული ავანსები	963 663	415 920	58 205
	1 003 450	455 261	58 870

10. საწესდებო კაპიტალი შპს-ში

2018 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 1 100 ლარს, რაც ფულადი სახით იყო შევსებული. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლის ფაქტობრივი შენატანის მიხედვით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებლის გაწყვეტილებით.

11. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგებას.

12. ამონაგები

	2022 ლარში	2021 ლარში
საქონლის გაყიდვა	<u>39 208 910</u>	<u>15 770 867</u>
მომსახურების გაწევა		
სხვა	<u>71 660</u>	<u>49 493</u>
	<u>39 280 570</u>	<u>15 820 360</u>

13. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2022 ლარში	2021 ლარში
თანამშრომელთა დარიცხული ხელფასი	<u>54 827</u>	<u>82 801</u>
	<u>54 827</u>	<u>82 801</u>

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2022 ლარში	2021 ლარში
პირუტყვის კვების ხარჯი	-	5 812
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	650	1 020
მიწოდების ხარჯი	381 322	119 492
სოციალური დანარიცხები	1 277	1 738
ძირ. საშ. მიმდინ. საექსპ. ხარჯი	1 059	
საკანცელარიო ხარჯი	-	44
კომუნიკაციის ხარჯი	1 098	1 007
თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევა	16 279	14 597
საიჯარო ქირა	48 000	
საგადასახადო ხარჯი	4 768	3 814
საბანკო მომსახურების ხარჯი	6 027	17 285
სხვა საოპერაციო ხარჯი	<u>53 236</u>	<u>9 919</u>
	<u>513 716</u>	<u>174 728</u>

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 22 სექტემბერს.

შპს “ალტურას”-ის დირექტორი:

კახაბერ ივანიძე

